

**ინდო ინასარის რომანის „ჩრდილი ერთი  
სინამდვილის“ ლექსიკის ზოგიერთი  
თავისებურების შესახებ**

**ინდო ინასარი** ფსევდონიმია ტრაგიკული ბედის მქონე ქართველი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის – **ნიკოლოზ ინასარიძისა**. მან, როგორც ოციანი წლების რეჟიმისათვის „არასასურველ-მა საშიშმა პიროვნებამ“ [შარაძე 2004: 371], საკუთარ თავზე განიცადა დევნა და შევიწროება, რაც საქართველოს გასაბჭოებამ მოუტანა და რამაც ის იძულებული გახადა 1929 წელს ემიგრაციაში წასულიყო, როგორც თავად წერს, „მი მიზნით, რომ... საშინელ იდეებით დაავადებულთა ბატონობით დარბეულ და აწიოკებულ ადამიანთა მწარე ტკივილები „აელაპარაკებინა“ [ინასარი 1936: 3].

ნ. ინასარიძეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრებოდა ქართულ ემიგრაციას ჩვენი ერის, ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე. ამიტომ წერდა თავის მიერ დაარსებულ გაზეთ „მუზარადში“: „ემიგრაცია ერთ-ერთი იმედთაგანია, ერის მონობასთან ბრძოლის მაჩვენებელი... ეროვნული ცხოვრების მომავალზე მიმთითებელი“ [გაზ. „მუზარადი“, შარაძე 2004: 396]. ის ძალასა და ენერგიას არ იშურებდა იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეეტანა ამ საქმეში, რადგან სწამდა: „ქართველობა... ყველა წოდებაზე და რწმენაზე მაღლა სდგას და ზრუნვასაც ყველას გვავალებს“ [გაზ. „მუზარადი“, შარაძე 2004: 396].

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულს ძალიან უჭირდა უსაქართველოდ ცხოვრება. ქართველ ემიგრანტთა გაფრთხილების მიუხედავად, არ გადაედგა ეს ნაბიჯი, ნ. ინასარიძე დაბრუნდა სამშობლოში (1947). მალე ის მართლაც დააპატიმრეს და მეუღლესა და ვაჟიშვილთან ერთად ყაზახეთში გადაასახლეს. ერთი წლის შემდეგ დააბრუნეს თბილისში, თითქოს სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. ოფიციალური ვერსიით, ნ. ინასარიძემ თავი მოიკლა, მაგრამ, როგორც ჩანს, მას წამებით ამოხადეს სული [შარაძე 2004: 374].

რომანი „ჩრდილი ერთი სინამდვილის“ მწერალმა 1936 წელს გამოაქვეყნა პარიზში ინდო ინასარის ფსევდონიმით. რომანში აღწერილი ამბები, ავტორის შეფასებით, არის ჩრდილი, ანუ მიახლოებითი ანარეკლი, იმ „ცამდე დიდი უსამართლო“ სინამდვილისა, რომელსაც, თუ რომანის ტექსტს მოვიშველიებთ, ერქვა „წითელი კატორღა“, ანუ „ერთი მეექვსედი დედამიწისა... რომელსაც საბჭოთა სინამდვილე ეწოდება“ [ინასარი 1936: 99].

ინდო ინასარის ეს რომანი სხვადასხვა თვალსაზრისით იქცევა მკითხველის ყურადღებას. უპირველესად თვალში საცემი ავტორის წერის მანერაა (ამ ტერმინს ჩვენ მწერლისათვის დამახასიათებელი ენობრივი თუ სტილისტიკური ხერხების ერთობლიობის მნიშვნელობით ვხმარობთ). ამჯერად გვინდა შევხებით ლექსიკის მხოლოდ ზოგიერთ თავისებურებას.

ცნობილია, რომ მწერალი ენის გამომყენებელიცაა და, ამავედროულად, მისი შემოქმედიც. სიტყვათქმნადობის პროცესში ხშირად იბადება „უჩვეულო“ ფორმებიც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მწერალი მხოლოდ იყენებს ენის შინაგანი კანონზომიერებებიდან მომდინარე შესაძლებლობებს, ანუ ეყრდნობა ენაში პოტენციურად მოცემულ, მაგრამ მეტყველებაში ჩვეულებრივ გამოუყენებელ ფორმებს, ყალიბებს; ასე რომ, როგორც აღნიშნავენ, მწერალი პირველად მომჩენია ამ შესაძლებლობებისა და არა მისი გამომგონებელი, „მწერალი იძლევა იმპულსს ენის შესაძლებლობათა ასამოქმედებლად“ [ჯორბენაძე 1987: 26].

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ რომანის ლექსიკას, აღმოჩნდება, რომ ინდო ინასარი სიახლისა თუ მოულოდნელობის განცდას მკითხველში სხვადასხვა ხერხით, სხვადასხვა საშუალებით აღწევს. მაგალითად, ცვლის სიტყვასთან დამკვიდრებულ ამა თუ იმ მაწარმოებელს და ამით იწვევს უჩვეულობის განცდას. ასეთებია:

**უცოდინარე:** მიზეზის **უცოდინარე** კაცს ეგონებოდა, წიგნს აუცრემლებიაო [ინასარი 1936: 38]. მაწარმოებელია **უ-არე** კონფიქსი, ნაცვლად **უ-არ-ისა**, შდრ.: უცოდინარი. სიტყვა ნახმარია „არმცოდნის“, „უვიცის“ მნიშვნელობით. შდრ.: აგრეთვე, მესხური **მომაგიერე** = „მაგიერი“, „მოადგილე“, „ნაცვალი“ [მაისურაძე 1954: 81].

**მყოფნელები:** შენ, თაო და სულო აქ **მყოფნელების**, – მიმართა ქადაგმა [ინასარი 1936: 205]. მაწარმოებელია კონფიქსი **მე-ელ**. შდრ.: ოდენ **მ-** თავსართიანი წარმოება: **მ-ყო-ფი** (მ-ყოფ-ებ-ი).

**მაშველებელი:** უნდოდა მოეშორებინა ძალით **მაშველებელი** [ინასარი 1936: 89]. მაწარმოებელია **მა-ელ**. შდრ.: **-ებ** თემისნიშნაანი და უთემისნიშნო **მ-ელ** წარმოება: (მო)მ-შველ-ებ-ელ-ი და **მ-შველ-ელ-ი** (**მაშველებელი** ნაწარმოებია იმ ყალიბით, რომლითაც მასწავლ-ებ-ელ-ი, მა-ტარ-ებ-ელ-ი, მა-შენ-ებ-ელ-ი და ა. შ.).

ამავე რიგისაა **თანამესოფლე** [ინასარი 1936: 88] „თანასოფლე-ლის“ მნიშვნელობით (გამოყენებულია ყალიბი სიტყვებისა **თანამეცხედრე, თანამედროვე, თანამეინახე...**); **მემკვდრე** [ინასარი 1936: 179-180] – „მკვდრების დამმარხავის“ მნიშვნელობით. გამოყენებულია ხელობის მაწარმოებელი თავსართ-ბოლოსართი **მე-ე** (შდრ. მეპურე, მებაღე, მეეტლე...); (**მე-ე** მაწარმოებელი ძალიან აქტიურია ზემოიმერულში: მეგემე (= გემის უფროსი: [ფეიქრიშვილი 1992: 237]), მენტხე (= თხის მწყემსი, მეთხე: [ფეიქრიშვილი 1992: 240]), მეხარჯე = ხარჯის (სასმელ-საჭმლის) მიმტანი: [ფეიქრიშვილი 1992: 242]); მარჯვედ გამოუყენებია მწერალს წინა ვითარების გამომხატველი **ნა**-თავსართი სიტყვაში **ნაუსიამოვნები** „უსიამოვნებაგანცდილის“ მნიშვნელობით: „სიტყვის წართმევის შემდეგ **ნაუსიამოვნები** ოტარიდი... გარედ გასულიყო“ [ინასარი 1936: 44]. შდრ.: ნაზრუნები, ნაგდები, ნაგემები, ნავარჯიშები... აგრეთვე ზემოიმერული: ნაქორწილები [ფეიქრიშვილი 1992: 285], ნავახშიმები [ფეიქრიშვილი 1992: 275], ნაჯიკავები [ფეიქრიშვილი 1992: 289]...

მწერალი ზოგჯერ ზმნურ ძირთან დამკვიდრებულ ზმნისწინს ცვლის და ამით გვიქმნის უჩვეულობის შთაბეჭდილებას. ასეთებია: ნაზმნარი სახელები (მიმღებები):

**ამლაგებელი:** **ამლაგებლად** წავიდოდი, მრეცხავადაც [ინასარი 1936: 188]. შდრ.: დამლაგებელი; **გაბმული:** კამათში **გაბმულებს** ვერც კი შეენიშნათ ბაიას წასვლა [ინასარი 1936: 31]. შდრ.: კამათში **ჩაბმა**, კამათში **ჩაბმული;** **გამოწოლილი:** გზისპირ, მოტიტვლებულ ადგილას, რაღაც თეთრად **გამოწოლილიყო** [ინასარი 1936: 9]. შდრ.: **გაწოლილიყო**. ამ შემთხვევაში ზმნისწინის შეცვლით მწერალს თითქოს სურს დააზუსტოს ორიენტაცია (მაახლოებელი, ნაცვლად მამორებლისა). ამავე რიგისაა: **დაანდო:** [მოჯამაგირეს] **დაანდო**, რომ ამინდისთვის თვალყური ედევნებინათ [ინასარი 1936: 52] – „მიანდო“, „დაუბარა“-ს მნიშვნელობით; **დათაგება:** გოგომ **დათაგება** ვერ მოასწრო [სიტყვისა] [ინასარი 1936: 139] – „გათაგება“, „დამთავრება“-ს მნიშვნელობით; ოდნაობითობის ელფერი დაჰკრავთ **შე-** და **წა-**

ზმნისწინიან ფორმებს ზმნებში: **შეერიდათ**: მათაც, ცოტა არ იყოს, **შეერიდათ** [ინასარი 1936: 8]. შდრ.: მესხურში **შელმართი** (= **აღმართი**: [ფეიქრიშვილი 1992: 91]; **წაითქვა** თავისთვის [ინასარი 1936: 202] – წაილაპარაკა, ჩაილაპარაკა თავისთვის...

ამა თუ იმ სიტყვის შეცვლა მისი სინონიმით ჩვეულებრივი და გავრცელებული ხერხია, მაგრამ ნაზმნარ სახელში (მიმღეობაში) ზმნური ძირის სინონიმით შეცვლა აშკარად მოულოდნელია და უჩვეულო. ასეთია **დაბრუნებული**, რომელსაც მწერალი ასეთ კონტექსტში გვთავაზობს: „ახლა იგრძნო თავის გარშემო **დაბრუნებული** საშინელება“ [ინასარი 1936: 91]. ცხადია, „დაბრუნებულს“ „დატრიალებულის“ მნიშვნელობა აქვს (იგრძნო თავის გარშემო **დატრიალებული** საშინელება). მიუხედავად იმისა, რომ **ბრუნვა** და **ტრიალი**, ფაქტობრივად, ზუსტი სინონიმებია, მათი შენაცვლება ამ კონტექსტში მოულოდნელი ჩანს.

საკმაოდ დიდი მასალაა რომანში იმის საილუსტრაციოდ, რომ ავტორი ენაში გარკვეული მნიშვნელობით დამკვიდრებულ სიტყვებს (ეს სიტყვები, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ხშირად მიმღეობები) სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს. მაგალითად:

**დამხობილი**. სულხან-საბა ორბელიანთან „**დამჯობა** პირქვე დაცემას ნიშნავს“ [ორბელიანი I, 1998: 195]. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით – „წაქცევას“, „დაქცევას“, „დაცემას“, „დანგრევას“, **დამჯობილი** კი არის „დაქცეული“, „დარღვეული“, „განრღვეული“, „მომვებული“, „დაშლილი“... [აბულაძე 1973: 119].

რომანში ეს სიტყვა ასეთ კონტექსტშია: „[მათხოვარს] მხედველობა დამხობილი ჰქონდა“ [ინასარი 1936: 185], ე. ი. დამხობილი ნახმარია დაქვეითებულისა თუ დაკარგულის მნიშვნელობით (მხედველობა დაქვეითებული ან დაკარგული ჰქონდა), რაც თითქოს ოდნავ უახლოვდება ძველ ქართულში დადასტურებულს (დარღვეული, დაშლილი), რომელსაც ავტორი გადატანითი მნიშვნელობით იყენებს.

ჩვეულებრივისა და დამკვიდრებულისაგან განსხვავებული მნიშვნელობითაა ნახმარი აბსტრაქტული სახელი **მინდობილობა**, რომელიც დღეს აღნიშნავს: 1. დავალებას, ან 2. საბუთს, რომლის ძალითაც ესა თუ ის პირი მიანდობს თავისი ნების, სურვილის ან მო-

ვალეობის ასრულებას მეორეს [ქეგლი V, 44]. **მინდობა** საბასთან **უშიშრად ყოფა** [ორბელიანი I, 1998: 484], ე. ი. **მინდობილი** უშიშრად მყოფი (ცალკე ლექსიკურ ერთეულად საბას გამოყოფილი არა აქვს). ილია აბულაძის ლექსიკონში **მინდობა** არის „დანდობა“, „დაკისრება“, „გადაცემა“, **მინდობილი** კი – „უზრუნველი“, „დაიმედებული“ [აბულაძე 1973: 248]. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **მინდობა**-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. დაკისრება, დავალება და 2. ნდობა, ნდობის გამოჩენა, იმედის დამყარება. **მინდობილი** ისაა, 1. რაც მიანდეს, დაკისრებული, დავალებული, ან 2. ვინც მიანდო, ადვილად მიმნდობი [ქეგლი V, 414]. მწერალი, რომელიც **მინდობილობას** ასეთ კონტექსტში ხმარობს: „არ ვიცით, ქალის მინდობილობას კიდევ რაზე აამეტყველებდა, მის სულის რომელ სიმაგრეს გაიგებდა გუბადი“ [ინასარი 1936: 8], – ცხადია, მასში მიმნდობისაგან ნაწარმოები მიმნდობობის მნიშვნელობას გულისხმობს.

მოულოდნელ კონტექსტში ვხვდებით ნაზმნარ სახელს **მღალადებელი**: „[ქალი] მუსიკის ტყვეობაში იყო და იმასღა ნატრობდა, რომ ხმის **მღალადებელი** ერთი დაენახა მხოლოდ“ [ინასარი 1936: 9].

**მღალადებელი** მიმღეობაა **ღალადებს** ზმნისა, რომელსაც საბა „ღალადების მოქმედს“ უწოდებს, **ღალადება** კი ასე აქვს განმარტებული: „ესე ითქმის ყო(ვ)ელივე ჯმამალობით ჯმა-ყოფა“ და ჩამოთვლის მის სახეობებს: კვილი, ყვილი, კრჩხიალი, ყყანი, ძიძგინი/ჯიჯგინი, კიჟინი, ზრინვა, ზრიალი, ყვირილი [ორბელიანი I, 1998: 247-248]. ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონის მიხედვითაც (რომელშიც რუსული შესატყვისებიცაა მითითებული), **ღალადება** ხმამაღლა ძახილია (вопить, взывать, кричать) [ჩუბინაშვილი 1961: 408]. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ **ღალადებას** ბევრი მნიშვნელობა აქვს (ჯმის-ყოფა, ღალად-ყოფა, ჯმობა, ზახება, ღალადისი, ცუდი ამბავი, ყვირილი, ვალალება...), მათ შორის – **ვედრებაც** [აბულაძე 1973: 460]. **ღალადებს** ზმნას ბევრი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც (ხმამაღლა ლაპარაკობს, ამბობს, გაიძახის, ყვირის, რამეზე მეტყველებს, მოწმობს...), მათ შორისაა **ხმით ლოცულობს, ევედრება** [ქეგლი VII, 404-405]. თ. ბეროზაშვილის სასკოლო განმარტებით ლექსიკონში **ღალადი** ახსნილია როგორც **ხმამაღლა ვედრება, მუდარა, თხოვნა უფლისადმი** [ბეროზაშვილი 2007: 266], ხოლო **მღალადე-**

**ბელი** ისაა, ვინც შესთხოვს, შეჰკლადებს ღმერთს, მლოცველი, მვედრებელი [ბეროზაშვილი 2007: 179].

რომანის კონტექსტის გათვალისწინებით, **ხმის მღალადებელს** ეს უკანასკნელი განმარტება უფრო ესადაგება: „[ქალი] იმასღა ნატრობდა, რომ **ხმის მღალადებელი**, ანუ **ხმის თხოვნით, მუდარით გამომცემი**, დაენახა“.

კარგად ნაცნობი და ენაში დამკვიდრებული სიტყვების განსხვავებული მნიშვნელობით გამოყენების სხვა შემთხვევებიც საკმაოდაა რომანში. მაგალითად, **ამაგი** (ვინმეზე, რამეზე გაწეული შრომა, მზრუნველობა, ღვაწლი [ქეგლი I, 287] – „ნაამაგარის“, „ნაშრომის“ მნიშვნელობით: „ჩემი **ამაგი** სხვას არ დარჩესო“ [ინასარი 1936: 150]; **ამღერება** (სიმღერის თქმა ან თქმევინება: [ქეგლი I, 461]) – „სიმღერის“ მნიშვნელობით: „**ამღერება** გაიგონეს... ახლა სხვა მხრიდან მოესმოდათ **ამღერება**“ [ინასარი 1936: 84]; „განგებისა“ თუ „ბედისწერის“ მნიშვნელობით იყენებს მწერალი საწყისს **მოვლინება**: „ოტარიდთან შეხვედრა მანაც **მოვლინებად**, თითქმის თავის იღბლად მიიღო და აჩქარდა“ [ინასარი 1936: 34]; „აქ მოვლინების ხელია, ჩვენ რაღაც გამოგვეცხადა“ [ინასარი 1936: 34].

საკმაო რაოდენობით გვხვდება რომანში ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ. მათ შორისაა საინტერესოდ წარმოებული მიმღეობა **მოჯოგილი**, რომელიც, ცხადია, ჯოგს უკავშირდება, ანუ ცხოველთა და ნადირთა გროვას [ქეგლი VIII, 1603]. სულხან-საბა, ტრადიციულად, **ჯოგის** სახეობებსაც ჩამოთვლის (რემა, მროწლე/ნახირი, სამწყსო, არვე, კოლტი, ფარა, ხრო: [ორბელიანი II, 1998: 460]). ინდო ინასარი მოჯოგილს „**ჯოგში მყოფთა**“ მნიშვნელობით იყენებს, ოღონდ ამ ჯოგში არა ცხოველების, არამედ პატივყარილ, დამცირებულ, შეურაცხყოფილ კატორღელთა ერთობაა ნაგულისხმები. ეს მნიშვნელობა რომანშივეა გაცხადებული: „[პატიმრები] გადაჰყავდათ ჯგუფ-ჯგუფად საქონლის ჯოგისავით სხვა და სხვა გზებით, მიმართულებით, რაოდენობით... ერთი ასეთი „ადამიანთა ჯოგი“ საწინააღმდეგო მხრით მომავალ მოჯოგილს შემოხვდა გზაზე... კატორღელებიც... ცნობისმოყვარეობით ათვალთქმობდნენ ურთიერთს უფრო იმისათვის, რომ ერთს მეორე **მოჯოგილში** თავისი ნათესავი ან ნაცნობი დაენახა...“ [ინასარი 1936: 156].

ავტორისეული ჩანს **განაპირები**. შესაძლოა ეს იყოს სახელის – **განაპირა** (რისიმე ნაპირის მყოფი) – მრავლობითი რიცხვის ფორმა (განაპირ-ებ-ი), ან საობიექტო მიმღეობა **განაპირდება** ზმნისა, „განაპირებულის“ (ცენტრისაგან მოშორებულის) მნიშვნელობით. კონტექსტის გათვალისწინებით, მას **გარეუბნისა თუ დედაქალაქიდან დაშორებული ადგილის (პერიფერიის)** მნიშვნელობა აქვს: „ხალხი დაბრუნებას იწყებს დედაქალაქიდან განაპირებისაკენ“ [ინასარი 1936: 6]. გამოყენებულია ზმნიზედის ფუნქციით.

მწერლისეული უნდა იყოს **გარე-არეც** – „გარეგნობის“ მნიშვნელობით: [ტბატანას] „სხეულის **გარე-არემაც** ვარდისფერი ელვარება გამოსცა“ [ინასარი 1936: 95]. უნდა აღინიშნოს, რომ მესხურ დიალექტში დასტურდება მსგავსი წარმოების **გარეკარი**, რაც სახლის გარე მიდამოს, ეზო-კარ-მიდამოს ნიშნავს: [მაისურაძე 1954: 70]. **გზადმომარჯვებული** – „სამგზავროდ გამზადებულის“ მნიშვნელობისა: „თემში კი არა, ქალაქში წავიდეთო“, – შორიდანვე მიაძახა **გზადმომარჯვებულმა**“ [ინასარი 1936: 24].

ზედსართავი სახელისაგან **ღია**, ე. ი. რაც არაა დახურული, დაკეტილი, – „გახსნილი, გაღებული... არდაჭმული“ [ორბელიანი II, 1998: 251] არის წარმოქმნილი არსებითი სახელი **ღიავი** – „ღიად დარჩენილი“, „გახსნილი ადგილი“. ამ სიტყვას საკმაოდ ხშირად ვხვდებით რომანში: „სარდაფს ფანჯრები სულ არ ჰქონდა, არც რაიმე ღიავი“ [ინასარი 1936: 54]; [ბანკის ერთი მხარე] „ქარიშხალს დაეწვია... და უშველებელ **ღიავებიდან** თოვლ-ბუქი შემოეყარა...“ [ინასარი 1936: 110]; [ტანსაცმელი] „ამ **ღიავების** დაცობას მოანდომეს და თვითონ ერთმანეთის სიახლოვით თბებოდნენ!“ [ინასარი 1936: 110]...

მწერლისეული ჩანს **ქალაღდღია**, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, **საქალაღდეს** უნდა ნიშნავდეს: „აი თქვენი საქმე! – გადაშალა ათასწარი ქალაღდებით **ქალაღდღია** და გასცა ბრძანება: – შემოიყვანეთ!“ [ინასარი 1936: 63]. ამ კომპოზიციის მეორე კომპონენტი, **ღლია**, აჭარულში **იღლიას** ნიშნავს. იღლიის მნიშვნელობით იხმარება **ღლია** მესხურშიც: ერთი **ღლია** ჩალა ძლივას მოვიტანე [ძოწენიძე 1974: 80]. გურულსა და იმერულში მისი ვარიანტია **ღლიავი** [სიტყვის კონა 1984: 591]. ეტიმოლოგიურად **ქალაღდღია** შესაძლოა იღლიაში ამოსადები საქალაღდის მნიშვნელობისა იყოს.

**ღღია** გამოყენებულია ნასახელარ ზმნაშიც – **მომადღიავა**: „მწუხარებამ **მომადღიავა**, მომაგდო აქ...“ [ინასარი 1936: 91]. თუ კონტექსტს გავითვალისწინებთ, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გამორიცხული ამ შემთხვევაშიც ამგვარი გააზრება: **მომადღიავა** – მომიყვანა ილლით/ილლიაში ამოჩრილი, ანუ ძალადატანებით.

რომანის ლექსიკის თვალსაზრისით ბევრი სხვაიც იქცევა ყურადღებას, იქნება ეს **ძველი სიტყვებისა თუ სიტყვის ძველი მნიშვნელობით გაცოცხლების სურვილი**. ასეთია **შურვილი** – „შურის“ მნიშვნელობით; **ყაიდა** (არაბ. კადა) გამოყენებულია არა დღევანდელი („როგორიმე წესი, რიგი, ხასიათი“: [ქეგლი VII, 500]), არამედ – მოძველებული მნიშვნელობით: „დაფა-ზურნის დაკვრის ესა თუ ის კილო“ [ქეგლი VII, 500]: „ყაიდას ადამიანის მიხედვით უკრავენ... განა მოცეკვავესა და **ყაიდის** შორის ნათესაობა არაა? **ყაიდას** სწავლობენ...“ [ინასარი 1936: 30]... შევნიშნავთ, რომ მესხურ დიალექტში ყაიდას, გარდა „ნაირი“, „გვარი“, „წესი“ მნიშვნელობისა, აქვს საკრავის ამა თუ იმ ჰანგის მნიშვნელობაც. შდრ.: შენ ნათქვამს მაინც ვერ გაიგონამს, თავისი **ყაიდის** კაცია, და: რავა სულ ერთ **ყაიდაზე** უკრამს, სხვა პესნი არ იცის? [მოწენიძე 1974: 81].

**დიალექტიზმებია: ხაბაკი** (ბარგი): „ხუთასამდე პატიმარს **ხაბაკებით** ეზოში ითხოვდა“ [ინასარი 1936: 17]; „ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონის“ მიხედვით, **ხაბაკი** იმერულში რისამე ძებნასაც ნიშნავს: რას **დახაბაკობ** = რას ეძებ [სიტვის კონა 1984: 195]; **მაშვიეთვე** (მაშინვე): „ამ არაჩვეულებრიობას **მაშვიეთვე** შენიშნავდით“ [ინასარი 1936: 208]. შდრ.: ქართლური **მაშვე**, **მაშვეთი**, ხევს. **მაშიაგ**, **მაშიგ**, ზემოიმერ. **მაშითვე** [მოწენიძე 1974: 235]; **ჯერამც** (ჯავახ.) – **ჯერაც**, **ჯერ** კიდევ [სიტყვის კონა 1984: 778]: „**ჯერამც** გული მიცემს...“ [ინასარი 1936: 32]; **ხალხამი** (მესხ.) – ქვის კედლით ან დაბალი ლობით შემოზღუდული ადგილი ზაფხულობით საქონლის გასაჩერებლად ღამით [სიტყვის კონა 1984: 737]...

**ნეოლოგიზმები: ელსმენი** (ტელეფონი): „აწკარუნდენ ყველა მიმართულებით **ელსმენის** ზარები“ [ინასარი 1936: 197]; **ჰაეროფრინავი** (თვითმფრინავი): „ამ ყიჟინის მალლა **ჰაეროფრინავმა** გადაუარა“ [ინასარი 1936: 148]; რომანში ამ სიტყვის პერიფრაზასაც ვხვდებით: „**ლითონის ფრინველი**“ კარგის მომასწავებელი არ იყო“ [ინასარი 1936: 148].



ინდო ინასარის ენა საინტერესოა მორფოლოგიისა და სინტაქსის თვალსაზრისითაც. საკვლევი სხვადაა.

თუ ვირწმუნებთ მწერლის სიტყვებს, რომ „ხშირად საუბარს სულის დაზვერვის ხასიათი აქვს“ [ინასარი 1936: 8], და ყურადღებით მოვუსმენთ მის ნაუბარს, დავინახავთ სულს ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული მოღვაწისას, რომელიც „განდევნილი და დევნილი, შეეწირა თავისი ქვეყნის, საქართველოს, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას“ [ინასარიძე 2004: 3]; შეეწირა იმ რწმენით, რომ სიკეთე გამოიღვიძებდა „ბოროტების დასათრგუნად, სულისა და ხორცის თავისუფლებისათვის...“ [ინასარიძე 2004: 10].

## ლიტერატურა

**ინასარი 1936** – ინდო ინასარი, „ჩრდილი ერთი სინამდვილის“, პარიზი.

**გაზ. „მუზარადი“** – გაზეთი „მუზარადი“, 1, პარიზი, აგვისტო, 1937.

**ინასარიძე 2004** – წინასიტყვაობა წიგნისა: ნ. ინასარიძე (ინდო ინასარი), „სიკვდილთან“, თბილისი.

**შარაძე 2004** – გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბილისი.

**ჯორბენაძე 1987** – ბ. ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბილისი.

## ლექსიკონები

**სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, ტტ. I, II, თბ., 1998.

**ნ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი (რუსული თარგმანითურთ), თბ., 1961.

**ილია აბულაძე**, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., მეცნიერება, 1973.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**, ტტ. I-VIII, თბ., 1950-1964.

**თ. ზეროზაშვილი**, ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2007.

**ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა**, შემდგენელი ა. ლლონტი, თბ., 1984.

**ქ. ძოწენიძე**, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

**ჟ. ფეიქრიშვილი**, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992.

**ო. მასიურაძე**, მასალები მესხური ლექსიკიდან, ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. I V, 1954.

**Leila Geguchadze**

**Some Lexical Peculiarities in Indo Inasari's Novel  
„Shadow of the Truth“**

S u m m a r y

Indo Inasari is the pseudonym of a Georgian writer and public figure with tragic fate – Nicholoz Inasaridze. He, as an undesirable dangerous person of the 20-ies regime, suffered persecution and oppression, that followed the Sovietization of Georgia. In 1929 Nikoloz Inasaridze had to emigrate.

The article analyzes the lexical features of the novel („The Shadow of the truth“), in particular, the writer's occasionalisms, such as **možogili** (= having been in herd/flock), **ganapirebi** (= faraway from a center ), **gare-are** (= appearance), **yiavi** (= smth left open), **kayaldyilia** (= folder; folder to be put under the armpit), and so on.